პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის და [illegible]
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

№ 191 პარასკევი, 21 ოქტომბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 21 ოქტომბერი, 1921 წ. № 191

ეროვნული ბიბლიოთეკა

21 ოქტომბერი
პარასკევი

1919 წ. იუდენიჩის ბანდები პულკოვის სიმაღლეებს მიუახლოვდნენ, საიდანაც იძულებულნი გახდნენ უკან გაქცეულიყვნენ.

1916 ფრიდრიხ ადლერმა მოჰკლა ავსტრიის პრემიერ მინისტრი შტიურგკი.

1884. დილის სამზე ოდესაში, რომელსაც ბრალად ედებოდა [illegible] განზრახვა, [illegible].

დღიური

დიდი [illegible] ხელშეკრულება ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და ოსმალეთს შორის. ამერიკაში, ახლო-მომავალში მოსალოდნელია რკინის გზელთა გრანდიოზული გაფიცვა. ხალხთა ლიგის დადგენილება ზემო სილეზიის გაყოფის შესახებ გერმანელთა აღშფოთებას იწვევს.

საქართველოს კომპარტიის გამწმენდი ცენტრალურ კომისიისაგან

საქართველოს წითელი ლაშქრის რიგების გადასაშინჯავად, შესამოწმებლად და გასაწმენდად დანიშნულია სამხედრო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—ამხ. იასონ ჟორბენაძე, წევრები: ნიკოლოზ ბილვაზოვი, ბაგრატიონ მოჩაიძე, სერგო მეგრელიშვილი და ნიკოლოზ ოკუჯავა.

კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე ი. ჩიკარევი.
მდივანი: ქიქოძე.

მტკიცე ზავის და მეგობრობის ხელშეკრულება

13 ამ თვეს ქ. ყარსში დაიდვა სამშვიდობო ხელშეკრულება აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებისა ანგორის მთავრობასთან. ამიერიდან საბჭოთა საქართველოს სამხრეთი საზღვარიც უზრუნველყოფილად უნდა ითვლებოდეს. ამ დროიდან, საქართველოს მშრომელთ აღარ მოელით მრავალგვარი საფრთხე. ხელშეკრულებამ ოფიციალი დაადასტურა ის განწყობილება და ურთიერთობა, რომელიც ბუნებრივია ამ ორი ბანაკისათვის, რომელიც ერთ და იმავე მიზანს ისახავს დღეს აღმოსავლეთის გამოღვიძებაში. საბჭოთა რესპუბლიკები და ახალი ოსმალეთი ერთნაირად არიან დაინტერესებული იმპერიალიზმის ფრთის შეკვეცით ახლო და შორეულ აღმოსავლეთში.

ამ ორი ბანაკის ძირითადი, შორეული მიზნები შეურიგებელია თანამედროვე გარდამავალ ხანაში, დღეს კი ორივეს მიზანია იმპერიალისტური ჩაგვრა-დამონების ბორკილების დამსხვრევა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელება. ამ ნიადაგზე მოხდა რუსეთის და ოსმალეთის დაახლოვება, რომლებიც საუკუნოებით გათიშული და ერთმანეთზე სამტროთ გადაკიდებული იყვნენ. მხოლოდ ხალხთა გამათავისუფლებელმა საბჭოთა ძალაუფლებამ შესძლო რუსეთის და ოსმალეთს შუა ისტორიული შეურიგებლობის ორმოს ამოვსება და ამ ორი ქვეყნის მშრომელთა დაახლოვება და შერიგება საერთო მტრის წინააღმდეგ. ასეთი ურთიერთობის შედეგია ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამშვიდობო ხელშეკრულება ქემალის ოსმალეთთან. ამიტომ გაუზომელი ისტორიული მნიშვნელობა ეძლევა ამ შეთანხმებას მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მამულიშვილის შეფასებით ოსმალეთი მოგებული რჩება ახალი ტერიტორიის შეძენით, თავის საზღვრების გაწევით ჩრდილოეთისაკენ. ეს მოგება, ეს გაფართოება ფაქტია. ოსმალეთის ხელისუფლებაში გადადის ნაწილი ყოფილი ბათუმის ოლქის და არდაგანის ოლქი, რომელიც ნ. ჟორდანიას მთავრობამ ბათუმთან ერთად დაუთმო ოსმალეთს ჯერ კიდევ თებერვალში.

საბჭოთა საქართველომ შესძლო ქ. ბათუმის და ოლქის დიდი ნაწილის შენარჩუნება ბრძოლით, ხოლო ვერ შესძლო დიპლომატიური მოლაპარაკებით ერთბაშ [illegible]-არტაანის ბედის გადაწყვეტა ისე, როგორც ეს ხასიათია მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის. მშრომელთა განთავისუფლება, მათი განვითარებისა და ბედნიერებისათვის შესაფერი პირობების შექმნა—აი საბჭოთა ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპი. ტერიტორიის საკითხის ასე თუ ისე გადაჭრას, სახელმწიფო საზღვრების გაწევ-გამოწევას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუ კი მშრომელთა განთავისუფლების საქმე საიმედოთ უწყვია. ამ მხრით კი ახლო მომავალი საბჭოთა ხელისუფლების იდეას ეკუთვნის. მთელი აღმოსავლეთი სასოებით შეჰყურებს საბჭოთა რუსეთს, მის ზრდას, მის გამარჯვებას. ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების როლი ახლო აღმოსავლეთის გამოღვიძებაში დიდი და საპატიო იქნება. მიმზიდველი შეიქნება საბჭოთა წყობილება აღმოსავლეთის მშრომელ ხალხებისთვის, თუ ჩვენ აქ სისრულით გავატარებთ ცხოვრებაში და საქმედ ვაქცევთ ოქტომბრის რევოლუციის ანდერძს. მშრომელთა დიქტატურის ქვეშ გაყოფილი და საერთაშორისო სახით მოქცეული აზერბეიჯანი, საქართველო, დაღესტანი, მთიელთა რესპუბლიკა და სომხეთი ითამაშებენ გადამწყვეტ როლს აღმოსავლეთის მშრომელთა თვითგამორკვევაში. შრომის დიქტატურა უსაზღვრო იქნება, გაბატონებულ მჩაგვრელ კლასების დაცემასთან ერთად წაიშლება სისხლით წერილი ისტორიაც სახელმწიფო საზღვრებზე.

მშვიდობიანი, გამუდმებული მუშაობა, ბრძოლა უსასრულო სამეურნეო ფრონტზე საბჭოთა რესპუბლიკის ყოველ ნაწილში განსაკუთრებით, მშრომელთა [illegible]—აი ჩვენი მთავარი საქმე. ყარსის ხელშეკრულება ჰქმნის ასეთი მშვიდობიანი მუშაობის შესაძლებლობას, საბჭოთა აღმშენებლობის გაძლიერებას და ამიტომაც დიდი კმაყოფილებით მიიღებს მას საქართველოს მშრომელი ხალხი.

სურსათი

კავკასიის რესპუბლიკების სასურსათო ყრილობა დასრულდა. მის მიზანს შეადგენდა ჩვენი სასურსათო რესურსების რაოდენობის გამორკვევა შიგნით, რესპუბლიკებში, გათვალისწინება საგარეო ვაჭრობის პერსპექტივების, შემუშავება განაწილების საერთო გეგმის. რამდენი გვჭირდება სულ, რა მოგვეპოვება, რამდენი უნდა შევიძინოთ კიდევ, როგორ გავანაწილოთ ერთნაირი გეგმით ის, რისი პატრონი ვართ ან შეგვიძლია შევიძინოთ, სასურსათო საქმის—და არა მარტო მისი—სიძნელენი აღარავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს. ცოტათ თუ ბევრათ ის უნივერსალური შეიქნა. ეს ითქმის კერძოთ ევროპაზე, განსაკუთრებით საბჭოთა სახელმწიფოებზე. კრიზისი დაწყებული [illegible] ამ სახელმწიფოებში. მით დაკავშირებულა მსოფლიო ომმა, ამ ომით განადგურებულმა მეურნეობამ. ის გაამწვავა კიდევ უფრო იმპერიალისტების მიერ ჩვენ თავზე მოხვეულმა სამოქალაქო ომებმა, რომლის ასპარეზი შეიქნა აღმოსავლეთ ევროპა. თვით შექმნაც ისეთი ინსტიტუტების, რომლებსაც წარმოადგენენ სასურსათო ან მომარაგების სამინისტროები უცხოეთში, ან სასურსათო კომისარიატები საბჭოთა რესპუბლიკებში, ფორმალურადაც მაჩვენებელია იმის, თუ როგორი განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქნა ამ ხნის უკანასკნელი წლების განმავლობაში ჯერ ომის დროს და, არა ნაკლებ, თუ არა მეტად, ამ ომის შემდეგ. საერთო მიზეზებს ჩვენ რესპუბლიკებში დაემატა კიდევ ადგილობრივი: კლიმატიური არა ხელსაყრელი პირობები წლევანდელი მოსავლისათვის როგორც კავკასიაში, ისე რუსეთში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის ყველაზე უფრო მოსავლიან ადგილებში. საკმაოა მოვიხსენიოთ ოფიციალურათ დამშეულათ გამოცხადებული ვოლგის მხარეები, კიდევაც რომ არაფერი ვთქვათ რუსეთის იმ გუბერნიებზე ან მაზრებზე, რომლებიც ასეთად არ არიან გამოცხადებული ოფიციალურათ, მაგრამ სადაც ფაქტიურათ შიმშილი მძვინვარებს. ხოლო ვინ არ იცის, რომ ბოლოს და ბოლოს რუსეთი გვკვებავდა ჩვენ. თუ ნათქვამს მივუმატებთ იმასაც, რომ ჩვენი, ამიერ კავკასიის რესპუბლიკების, საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული ორგანო ვერ აწარმოებს ჯერ კიდევ საჭირო და შესაძლებელ ნორმალურ მუშაობას და მაზე დაკისრებული საქმის სათანადო წარმოებას ამ „პარტიკულარიზმის“ გამო, რომელიც, როგორც ეტყობა, კიდევ დასაძლევი გვაქვს, აშკარა იქნება ჩვენთვის ის მდგომარეობა, რომლისთვისაც ანგარიშის გაწევა მოუხდა სასურსათო ყრილობას. სახალხო სასურსათო კომისარიატების მიერ გაკეთებული მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ჩვენი საკუთარი, შინაური ძალებით შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ საერთო აუცილებელი მოთხოვნილების უმნიშვნელო ნაწილი, კიდევაც სავსებით რომ გატარდეს სასურსათო გადასახადების კამპანია. აზერბეიჯანში მაგალითად, ამ უკანასკნელს სრულიადაც არ ექნება ადგილი სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო, რომელთა გამოკვლევა ამ ჟამად და ამ ადგილას ზედმეტია. აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტს. ცხადია ყოველივე ნათქვამის შემდეგ თუ კავკასიის რესპუბლიკების სასურსათო ყრილობას უნდა გამოეცხადებინა ჩვენი მდგომარეობა წელს როგორც მძიმე სურსათის მხრით. ცხადია ისიც რომ ასეთმა მდგომარეობამ აიძულა ყრილობა გამოემუშავებინა შესაფერი გეგმაც განაწილების. „კავკასიის რესპუბლიკებისა და რუსეთის სოციალისტური ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის შეზღუდული სასურსათო რესურსები გვარწმუნებს იმაში, რომ შეუძლებელია დაკმაყოფილდეთ მთლათ ის ჯგუფები და კატეგორიები, რომლებსაც ვამარაგებთ დღეს“. ასეთია სინამდვილე. ასეთ მდგომარეობაში სახელმწიფომ უნდა გამოარჩიოს და დააკმაყოფილოს—და ისეც იმდენათ, რამდენათაც ეს აუცილებლათ საჭიროა შრომის უნარის შესანარჩუნებლათ—ისინი რომლებიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საჭირონი არიან სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის და საწარმოო ძალთა აღსადგენათ. სახელმწიფომ უნდა მოამარაგოს ამნაირათ განსახელმწიფოებრივებულ წარმოებათა მუშები და მოსამსახურეები ე. ი. მომუშავეები ისეთ დაწესებულებებში რომელთაც აქვთ საერთო მნიშვნელობა მეურნეობაში; მათ გარდა საბჭოთა დაწესებულებების მუშები და მოსამსახურეები; ერთ პირველ რიგთაგან ჯარის შემდეგ უნდა იქნენ დაკმაყოფილებულნი რკინის გზის მუშები, რომელთა მომარაგების ნახევარს პურით, იღებს თავის თავზე რუსეთი. სახელმწიფოს მიერ მოსამარაგებელ კატეგორიას ეკუთვნიან აგრეთვე ჯანმრთელობისა და სახალხო კომისარიატთა ინტერნატებში მოთავსებული ბავშვები, ავადმყოფი მუშები და მოსამსახურეები კომუნალურ და სახელმწიფო სავალდებულო ფონდებზე; მუშათა ოჯახების წევრები, რომლებიც არ მუშაობენ და სარჩენი არიან; უმაღლეს სასწავლებლების მოწაფეები საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოების მიერ სასწავლებლათ მობილიზაციით გაწვეულები და რამოდენიმე სხვა ჯგუფები. ასეთი ზომების მიღება, მოსამარაგებელ კატეგორიების შემცირება და მათი აუცილებელ მინიმუმამდე დაყვანა ნაკარნახევია იმ სასურსათო მდგომარეობით, რომელშიდაც იმყოფებიან ჩვენი რესპუბლიკები. გასაგებია ასეთ პირობებში, რა მნიშვნელობას ღებულობს ჩვენი ქვეყნებისათვის საგარეო ვაჭრობა და აქ ვაჭრობის ნამდვილათ გაერთიანება. როგორც ამ საქმეს სრულიად საფუძვლიანათ მიაქცია ყურადღება საკავკ. პარტიულმა თათბირმა, ჩვენ უნდა გადავლახოთ ყოველი დაბრკოლება, [illegible] ძლიერი ტრადიციები განცალკევებული გამოსვლის, ერთნაირი „პარტიკულარიზმი“, რომ საერთო ძალებით, მათი შეთანხმებული ამუშავებით გავუსწოროთ დღეს შექმნილ მდგომარეობას იმ შეზღუდულ ფარგლებშიაც კი, რომელიც გამოიმუშავა სასურსათო ყრილობამ. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ენერგიული მობილიზაცია ყველა ჩვენი შესაძლებლობათა, რომ შეკავშირებული ძალებით დავძლიოთ მომავალი მძიმე სასურსათო წელიწადი.

აყროლებული ლეში

უკვე რამდენიმე დღის წინეთ რადიო დეპეშებმა გვაცნობეს, რომ ხალხთა ლიგამ არ იღო თავზე დამშეულ რუსეთის დახმარების საქმე და, პირიქით, მან უარყო ნანსენის წინადადება ამ დახმარების მოსაწყობად საშუალებათა გაღების შესახებ. ახლა ჩვენ უცხოეთ გაზეთებში ვპოულობთ ვრცელ მოხსენებას, რომლებიც ადასტურებენ ამ ცნობებს. ხალხთა ლიგა მხოლოდ ფიქრობს თავის [illegible] გამო თავის [illegible], მთავრობებისა და კერძო ორგანიზაციებისაგან [illegible], თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი. მაგრამ ხალხთა ლიგის [illegible] ეს 40 [illegible] იმდენად [illegible] კომედია გამოდგა, რომ ლორდ რობერტ სესილმა, რომელიც ხალხთა ლიგაში სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელია და ბურჟუაზიულ სოლიდარობის გრძნობას და სიბრალულის უკანასკნელი ნასთენის [illegible],—ლიგის რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა. ხალხთა ლიგამ მაშინ ქვეყნიერების წინაშე გამოაცხადა: მე ვიცი, [illegible] მხარეში იხოცება 20 მილიონი კაცი, [illegible] ბავშვები [illegible] რომ თუ [illegible] იხოცებიან, [illegible] ბუნება [illegible] ცნობები [illegible], [illegible]. მე ხალხთა [illegible] მე [illegible] გადაწყვეტილი [illegible] ზავისა და [illegible] საკითხის გადაჭრა.

ასე განაცხადა ხალხთა ლიგამ მთელი მსოფლიოს წინაშე. რათა გავიგოთ, რას ნიშნავს ეს ცინიზმი, სტრატეგიული აზრით, უნდა გავიხსენოთ მილიონ ხალხს, რომელიც თავიანთი მთავრობათა ბრძანებით იღუპებოდა, როგორ ჩაქონდა თავში ის აზრი, რომ ეს არის უკანასკნელი ომი, რომ ამ ომიდან მსოფლიო გამოვა მოწყობილი, იგი სამუდამოდ აიშორებს თავიდან ხალხთა ამოსაწყვეტ ომებს და შექმნის ადამიანთა ურთიერთი დახმარების ორგანოებს. ჩვენ, რევოლუციონერებს, ეს ილიუზიები სასაცილოდ არ გვეჩვენებოდა, მაგრამ ეს ილიუზიები სწორეთ მილიონებში; ისინი ბურჟუაზიის საუკეთესო შვილების რწმენას წარმოადგენდნენ. წაიკითხეთ უელსის წიგნი „მისტერ ბრიტლინგი და ომი“. ჩააკვირდით ამ შინაგან საშინელებას, რომელიც გამოიწვია ომმა თვით ბურჟუაზიის შორის და რომელმაც იქამდე მიგვიყვანა, რომ 1918 წელს ახალი რელიგია მოევლინა, პაციფიზმის რელიგია, რომლის მოციქული იყო ვილსონი. ის ფაქტი, რომ ძველი კანიბალური ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლები იძულებული შეიქნენ ისე მოეჩვენებინათ თავი, თითქოს ისინი იზიარებენ ვილსონის იდეოლოგიას,—მოწმობს, თუ რა ღრმად შეირყა ბურჟუაზიული მსოფლიო, რა ფართო იყო ახალი იდეების გავლენა, რომლებიც მეტყველებდნენ: ასე ცხოვრება არ შეიძლება. ახალი იდეები იყვნენ პირველ ყოვლისა იდეები ხალხთა ძმობაზე, იდეები იმაზე, რომ უნდა დადგეს ის დრო, როცა ადამიანი ადამიანისათვის მგელს წარმოადგენდა. არ არის მართალი, რომ ეს იდეები მხოლოდ მოტყუილება იყო, ისინი ცოცხლობდნენ მილიონების გულში, არა პროლეტარიატში კი, რომელიც ბურჟუაზიამ [illegible] კრიზისისაგან თავის დაღწევა, როდესაც განვლილი ხანა, რომლის დროს ქალაქები სავსე იყო ომიდან ახლად დაბრუნებული ხალხით, ხალხით, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ბურჟუაზიული ცხოვრების კალაპოტში ჩამდგარი, ადამიანებით, რომელთაც ახსოვდათ თხრილების საშინელებანი, ყველა ქვეყნის ბურჟუაზიამ მშვიდობიანობის საერთაშორისო ორგანიზაციის იდეები სათამაშოდ გადაიქცია ან, კიდევ უარესი, შირმად, რომლის იქით გრძელდებოდა კაპიტალისტური ხროვათა ფარისევლური საქმიანობა. ბურჟუაზიამ, კლასმა, რომლის არსებობა დამყარებულია მესაკუთრეთა ერთი ხროვის მეორესთან კონკურენციასა და ბრძოლაზე, ვერ შესძლო მსოფლიო გაერთიანების რაიმე ორგანიზაციის განხორციელება. ხალხთა ლიგა დღევანდელამდე ხალხთა ძმობის იდეაზე მხოლოდ დაცინვა იყო. ხალხთა ლიგა, არსებული იმ წესდების საფუძველზე, რომელიც ვერსალის ხელშეკრულების ავაზაკურ აქტს წინასწარ [illegible] შეიცავს, ხალხთა ლიგა, რომელმაც ხელი არ შეუშალა საბჭოთა რუსეთზე პოლონეთის ავანტიურას თავდასხმას, ხალხთა ლიგა, რომელიც გულგრილი სიმშვიდით უცქეროდა საბერძნეთის მიერ ოსმალეთის ძარცვას, ასეთი ხალხთა ლიგა, თავის თავად გახრწნილი არის, ბევრი ხანია მკვდარია ან, უკეთესად რომ ვთქვათ, მას არასოდეს არ უცოცხლია ნამდვილი სიცოცხლე. მაგრამ ეს არასოდეს არ გამომჟღავნებულა ისეთი სიცხადით, როგორც ლიგის დამოკიდებულებაში რუსეთის შიმშილის საკითხისადმი. ეგრედ წოდებულ მაღალ პოლიტიკას [illegible] ფარდები. ვინ არის მართალი ომში, ვინ არის მტყუანი, ვინ დაესხა, ვინ იცავს თავს—ყველა ამაში [illegible]. მაგრამ ახლა 20 მილიონი კაცი იღუპება ვოლგაზე, [illegible] მეტია, განა ეს საჭიროა. ყველა განათლებულ ქვეყნის მთავრობებს რომ [illegible].

ხალხთა ლიგა უკვე მკვდარი ხანია, რაც სამარცხვინო სიკვდილით დაიღუპა. მაგრამ ახლა მისი გადაწყვეტილების შემდეგ, მისი დაშლის პროცესში მყოფი სხეულის აყროლებული სუნი მთელ მსოფლიოს მოედება. მაგრამ საკმარისი არ არის მთელი კაცობრიობის წინაშე ამ ფაქტის აღნიშვნა. საერთაშორისო მასების შემეცნებაში შევიტანოთ ამ უზარმაზარი სისაძაგლის მიზეზების ნამდვილი შეგნება. მსოფლიოს ყოველ მუშას და გლეხს უნდა ესმოდეს რატომ შეიძლება ეს მომხდარიყო. ხალხთა ლიგის [illegible] მოტივების შესახებ [illegible] უნდა [illegible] გადაწყვეტილება.

ეს სიმართლე მეტყველებს: ომის ასაცილებლად შექმნილმა ხალხთა ლიგამ გამოაცხადა ახალი, უფრო საშინელი ომი, ვინემ ის, რომელიც 1914 წელში კაცობრიობას დაატყდა თავს.

რატომ არ აღმოუჩინეს დახმარება ვოლგის მხარის დამშეულ მასებს ხალხთა ლიგაში გაერთიანებულ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა? ისინი უარს ამბობენ ამ დახმარების აღმოჩენაზე იმისთვის, რათა, როდესაც სიმშილი საბჭოთა რუსეთს უფრო ძლიერ შეაწუხებს, გამოგლიჯონ მას აღიარება ძველი ვალების გადახდაზე, გამოგლიჯონ მას თანხმობა მთელი რიგი ეკონომიურ დათმობებზე, რომლებიც კაპიტალისტებს მილიარდებს მოაგებინებენ. დღეს ამოწყდებიან მილიონები, ამ ხნის განმავლობაში კაპიტალისტები ერთმანეთს შეუთანხმდებიან, თუ საერთო ძალღონით როგორ დასწვენ საბჭოთა რუსეთს, როგორ ამოსწურონ მისგან მოგების ის წილი, რომელიც კაპიტალისტურ მსოფლიოს ესაჭიროება. 1914 წელში კაპიტალისტურმა მთავრობებმა ერთმანეთს საბრძოლველად მიუსიეს მილიონობით მუშები და გლეხები ბანკირების და მრეწველთა მოგებისათვის. ის ქვეყანა ან ქვეყნებთა ის კოალიცია, რომელიც მოახერხებს კაცთა უფრო მეტი რაოდენობის ამოწყვეტას, მიიღებს მსოფლიო ნადავლის უფრო მეტ ნაწილს. ეს იყო „დიდი“ იმპერიალისტური ომის აზრი. კაპიტალისტთა გაერთიანებას, რომელსაც ხალხთა ლიგა ეწოდება, ახლა უფრო ადვილი მიზანი აქვს დასახული. რუსეთში სიმშილობაა, ხალხთა ლიგას შეუძლია უარი თქვას იმაზე, რომ მილიონობით მოგვესპოს ჩვენ ჯარისკაცები, რომლებიც შეიკრიბონ იძულებულს გახდიდნენ კაპიტალისტებისათვის მოგება გვეძლია. ხალხთა ლიგამ იცის, რომ მისთვის [illegible], რომ [illegible] და [illegible]. ხალხთა ლიგა დაიმედებულია, როცა ჩვენი ყურთა სმენა აივსება მომაკვდავთა გმინვით, როცა ჩვენი თვალები ვოლგის მხარის საზარელი სურათების საშინელებას ვერ აიტანენ, ჩვენ ხელს მოვაწერთ ხელშეკრულებებს, რომელიც ერთი ნაჭერი პურისათვის მსოფლიო კაპიტალს ჩაუგდებს ხელში საბჭოთა რუსეთს საძარცვად და დასამონებლად. ხალხთა ლიგის წევრების მოგების გასადიდებლათ ახლა რუსეთში ნელი სიკვდილით მილიონები იხოცებიან.

ეს სიმართლე ჩვენ ყოველგან უნდა მოვფინოთ. ეს სიმართლე კაპიტალისტური საზოგადოებისათვის სასიკვდილო განაჩენი უნდა იყოს, რომელიც გამოტანილია არა მარტო პროლეტარ-კომუნისტების, არამედ ყველას მიერ, რომელთა მკერდში კიდევ ფეთქს ადამიანის გული.

ქ. რადეკი.

„პრავდა“

ხელშეკრულება

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებისა ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან

მთავრობანი სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა, აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა ერთის მხრით, და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა მეორეს მხრით, იზიარებენ რა ერთა ძმობის პრინციპს, და სცნობენ რა ყოველი ხალხისათვის თვით გამორკვევის უფლებას, გამსჭვალულნი სურვილით, რომ მათ შორის დადგენილ იქმნეს მუდმივი მეგობრული ურთიერთობა და განუწყვეტელი გულწრფელი მეგობრობა, დამყარებული ურთიერთ ინტერესებზე, შეუდგნენ მოლაპარაკებას, რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობით, რათა დასდონ ხელშეკრულება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთი რწმუნებულებად:

სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: ასკანაზ მრავიანი, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი, და პოღოს მაკინციანი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: ბეჰბუთ შახთახტინსკი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: შალვა ელიავა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, და ალექსანდრე სვანიძე, გარეშე საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარი.

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობამ: კიაზიმ კარა ბექირ ფაშა, ადრიანოპოლის დეპუტატი დიდ ეროვნულ ყრილობაში, აღმოსავლეთ ფრონტის სარდალი.

ვეჯიჰ-ბეი, ბურდურის დეპუტატი დიდ ეროვნულ ყრილობაში.

მუხთარ-ბეი, საზოგადო საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი.

მემდუხ-შევქეთ-ბეი, ოსმალეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აზერბაიჯანში.

რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: იაკობ განეცკი, რ. ს. ფ. ს. რ.-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში.

რომელნიც უფლება-მოსილობის საბუთების გაცვლის შემდეგ, რაიცა სათანადო და კანონიერ ფორმით შესრულებულათ იქმნა ცნობილი, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა და სომხეთის, აზერბაიჯანის, და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობანი სცნობენ გაუქმებულად და ძალა დაკარგულად ყველა ხელშეკრულებებს, რომელნიც დადებული იყო იმ მთავრობათა მიერ, რომლებიც წინათ ახორციელებდნენ სუვერენიტეტს ხელშემკვრელ მხარეების ტერიტორიაზე, და რომელნი ხელშეკრულებანიც ეხებოდა ხსენებულ ტერიტორიებს; აგრეთვე იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებული იყო მესამე სახელმწიფოებთან და შეეხებიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს.

აღიარებულია, რომ რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება, ხელმოწერილი მოსკოვში 1921 წ. (1337) წლის 16 მარტს, ამ მუხლის მოქმედებას არ ექვემდებარება.

მუხლი 2.

ხელშემკვრელი მხარეები სთანხმდებიან, რომ არ სცნონ არავითარი სამშვიდობო ხელშეკრულება ან სხვა გვარი საერთაშორისო აქტი, უკეთუ მის მიღებას ძალით აიძულებენ რომელსამე ხელშემკვრელ მხარეს.

ამის ძალით სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკათა მთავრობანი სთანხმდებიან, არ სცნონ არავითარი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ოსმალეთს შეეხებიან და არ არიან ცნობილნი ოსმალეთის ეროვნული მთავრობის მიერ, რომელსაც ამჟამად მისი დიდი ეროვნული ყრილობა წარმოადგენს.

ამ ხელშეკრულებაში ოსმალეთად იგულისხმება ტერიტორიები, განსაზღვრული 1920 (1336) წლის 28 იანვრის ოსმალეთის ეროვნულ შეთანხმებაში, რომელიც შემუშავებული და გამოცხადებული იყო ოტტომანთა დეპუტატების პალატაში კონსტანტინოპოლში და რომელიც ეცნობა პრესას და ყველა სახელმწიფოებს.

თავისი მხრით, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა სთანხმდება, არ სცნოს არავითარი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ეხებიან სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს, და არ არიან ცნობილნი ამ რესპუბლიკათა სათანადო მთავრობათა მიერ, რომელთაც დღეს სომხეთისა, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა მთავრობანი წარმოადგენენ.

მუხლი 3.

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობანი სცნობენ, რომ კაპიტულაციის რეჟიმი არ შეეფერება არც ერთი ქვეყნის თავისუფალ ეროვნულ განვითარებას და აგრეთვე მის სუვერენულ უფლებების სრულ განხორციელებას და ძალა დაკარგულად და გაუქმებულად სთვლიან ყოველგვარ მოქმედებანი და უფლებანი, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ამ რეჟიმთან.

მუხლი 4.

ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი (რუსეთის გენერალური შტაბის რუკით 1.210.000—5 ვერსი 1 დიუიმში) განისაზღვრება ხაზით, რომელიც იწყება შავი ზღვის პირას მდებარე სოფელ სარფთან, გადის მთა ხედის-მთაზე, წყალთა გამყოფი ხაზით მთა შავშეთი—მთა კანი დაღი, იგი მისდევს შემდეგ წინანდელ ჩრდილოეთ ადმინისტრატიულ საზღვარს არტაანის და ყარსის ოლქებისას—მდინარე არფა ჩაისა და არაქსის თალვეგზე ქვემო ყარა-სუს შესართავამდე (დაწვრილებითი აღწერა საზღვრისა და მასთან დაკავშირებული კითხვები განსაზღვრულია დანართებში I და II, და თან დართულ რუკაზე, რომელიც ხელმოწერილია ორივე ხელშემკვრელი მხარეებისაგან; უკეთუ ხელშეკრულების ტექსტსა და რუკას შუა აღმოჩნდება განსხვავება, ხელშეკრულების ტექსტს ეძლევა რუკის წინაშე უპირატესობა). შერეული სასაზღვრო კომისია, რომელიც შემდგარი იქნება წევრების თანაბარი რიცხვებისაგან, რ. ს. ფ. ს. რ.-ის წარმომადგენლის მონაწილეობით, ევალება გაარკვიოს დაწვრილებით და ადგილობრივ გაატაროს სახელმწიფო საზღვარი, და აგრეთვე დასდგას ნიშნები.

დანართი IV რუკა.

მუხლი 5.

ოსმალეთის მთავრობა და აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობანი სთანხმდებიან რომ ნახიჩევანის მხარე, იმ საზღვრებში, რომელიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების მე-3 დანართში, შეადგენს ავტონომიურ ტერიტორიას აზერბაიჯანის მფარველობის ქვეშ.

მუხლი 6.

ოსმალეთი სთანხმდება დაუთმოს საქართველოს სუვერენიტეტი ბათუმის ნავთსადგურსა და ქალაქზე, და იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში ნაჩვენებ საზღვრის ჩრდილოეთით და რომელიც შედიოდა ბათუმის ოლქში, იმ პირობით, რომ 1) მოსახლეობა იმ ადგილებისა, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლში, ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით ადმინისტრაციულის მხრით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურული და სარწმუნოებრივ უფლებებს და რომ მოსახლეობას მიეცემა საშუალება დაადგინოს ისეთი საადგილ-მამულო კანონი, რომელიც ეთანხმება მის სურვილებს; 2) ოსმალეთს მიეცემა თავისუფალი ტრანზიტი ყოველგვარი საქონლის, რომელიც იგზავნება ოსმალეთში ან ოსმალეთიდან ბათუმის ნავთსადგურის გზით უბაჟოთ, რაიმე დაბრკოლების აღმოუჩენლად და რაიმე ხარჯებით დაუბეგრავად, და ოსმალეთს მიეცემა უფლება ისარგებლოს ბათუმის ნავთსადგურით სპეციალი ხარჯების გადაუხდელად.

ამ მუხლის ცხოვრებაში გასატარებლად, ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ, შესდგება კომისია ორივე დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 7.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ვალდებულებას ღებულობენ გაუადვილონ მოსაზღვრე ოლქების მცხოვრებლებს საზღვარზე გადასვლა იმ პირობით, რომ დაცულ იქნება შესაბამისი საბაჟო, საპოლიციო და სანიტარული წესები, რომელთაც ამ საგნისთვის შეიმუშავებს შერეული კომისია.

მუხლი 8.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა, იღებენ რა მხედველობაში, რომ ორივე მხარის სასაზღვრო ოლქების მცხოვრებთათვის აუცილებელია სარგებლობა საზაფხულო და საზამთრო საძოვრებით რომლებიც საზღვრის მეორე მხარეზე იმყოფება, სთანხმდებიან, მისცენ ამ მცხოვრებლებს საზღვარს იქით მათი პირუტყვის გარეკვა და ჩვეულებრივი საძოვრებით სარგებლობის უფლება. საბაჟო ფორმალობა, პოლიციური, სანიტარული და სხვა წესები, რომლების დაცვაც საჭიროა საზღვარზე გადასვლის დროს, შემუშავებულ იქნება შერეული კომისიის მიერ.

მუხლი 9.

რომ უზრუნველყოფილ იქნეს სრუტეების გახსნა და მათში ყველა ხალხებისათვის თავისუფალი მიმოსვლა სავაჭრო ურთიერთობისათვის, ოსმალეთი და საქართველო სთანხმდებიან შავი ზღვისა და სრუტეების საერთაშორისო სტატუტის საბოლოო გამომუშავება გადასცენ სანაპირო ქვეყნების დელეგატებისაგან შემდგარ კონფერენციას, იმ პირობით, რომ მისგან გამოტანილი გადაწყვეტილებანი არ მიაყენებს დანაკლისს ოსმალეთის სრულ სუვერენიტეტს, და აგრეთვე ოსმალეთისა და მისი სატახტო ქალაქის კონსტანტინოპოლის უშიშროებას.

მუხლი 10.

ხელშემკვრელი მხარეები სთანხმდებიან თავის ტერიტორიაზე არ მისცენ შედგენის ან ყოფნის უფლება იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც თავი მოაქვთ ხელშემკვრელ მეორე ქვეყნის ან მისი ტერიტორიის ნაწილის მთავრობად, არც ისეთ ჯგუფებს, რომლებსაც მიზნად აქვთ ხელშემკვრელ მხარესთან ბრძოლა.

გამორკვეულად ითვლება, რომ ამ მუხლში ხსენებულ ოსმალეთის ტერიტორიად იგულისხმება ტერიტორია, რომელიც იმყოფება ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის უშუალო სამხედრო და სამოქალაქო გამგებლობაში.

მუხლი 11.

ხელშემკვრელ მხარეების მოქალაქეებზე, როცა ისინი მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფებიან, ვრცელდება ყველა უფლებანი და ვალდებულებანი, რომელნიც გამომდინარეობენ იმ ქვეყნის კანონებიდან, სადაც ისინი იმყოფებიან, იმ გამონაკლისით, რომ ისინი თავისუფალი არიან ეროვნული თავდაცვის ვალდებულებისაგან. ამ მუხლის დადგენილებიდან გამონაკლისს შეადგენენ აგრეთვე კითხვები, რომლებიც შეეხებიან ხელშემკვრელ მხარეების მოქალაქეთა საოჯახო უფლებას, სამკვიდრო უფლებას და იმავე მოქალაქეების უფლებამოსილობას. ეს კითხვები გადაიჭრება განსაკუთრებული შეთანხმებით.

მუხლი 12.

ხელშემკვრელი მხარეები, თითოეული მხარის მოქალაქეთ, რომელნიც მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფებიან, აძლევენ ყველაზე უფრო კეთილგანწყობილი ერის რეჟიმს [illegible].

ამ მუხლს მოქმედებაში არა აქვს ის უფლებები, რომლებსაც საბჭოთა რესპუბლიკები თავის ტერიტორიაზე ანიჭებენ ნაცვალგებით სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებს, აგრეთვე ის უფლებები, რომლებსაც ოსმალეთი ანიჭებს თავის მოკავშირე მუსულმანურ სახელმწიფოთა მოქალაქეთ.

მუხლი 13.

ყოველს მცხოვრებს იმ ტერიტორიისას, რომელიც 1918 წლამდე რუსეთის ნაწილს შეადგენდა და რომელზედაც ოსმალეთის სუვერენიტეტი ცნობილია, საშუალება მიეცემა, თუ კი მოისურვებს, გამოვიდეს ოსმალეთის მოქალაქეობიდან, თავისუფლად დასტოვოს ოსმალეთი და წაიღოს თან თავისი ნივთები და თავისი ქონება, ან მათი ღირებულება.

აგრეთვე ყოველ მცხოვრებს იმ ტერიტორიისას, რომელზედაც სუვერენიტეტი ოსმალეთმა საქართველოს დაუთმო, საშუალება მიეცემა, უკეთუ მოისურვებს, გამოვიდეს საქართველოს მოქალაქეობიდან, თავისუფლად დასტოვოს საქართველოს ტერიტორია, და წაიღოს თან თავისი ნივთები, ქონება ან მათი ღირებულება.

ზემოხსენებულ მცხოვრებთ სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა გადაედებათ ერთი თვით იმ დღიდან, როდესაც დადგენილი წესით შეიტანენ განცხადებას, რომ მათ სურთ დასტოვონ ხსენებული ტერიტორია.

მუხლი 14.

ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში, შეკრან სპეციალური შეთანხმება 1918—1920 წლების ომების ლტოლვილთა შესახებ.

მუხლი 15.

თვითეული ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოაცხადოს მეორე მხარის მოქალაქეთა სრული ამნისტია იმ დანაშაულობათათვის რომელიც ჩადენილია კავკასიის ფრონტზე ომების გამო.

მუხლი 16.

ხელშემკვრელი მხარეები თანხმანი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ორი თვის განმავლობაში ნაცვალგებით დააბრუნონ სამშობლოში ის სამხედრო და სამოქალაქო ტყვეები, რომლებიც დარჩენილი არიან ერთ ერთ ხელშემკვრელ მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 17.

თავიანთ ქვეყნებს შორის მიმოსვლის და ცნობების მიწოდების განუწყვეტელობის უზრუნველსაყოფად ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, ურთიერთ შორის შეთანხმებით, მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ შენარჩუნებულ და განვითარებულ იქნეს რკინის გზის, ტელეგრაფის, და საერთოდ ურთიერთობის სხვა საშუალებანი. აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ხელშემკვრელ მხარეთა შორის ხალხის და საქონლის მოძრაობა, ყოველგვარ დაბრკოლების გარეშე, მაგრამ ამასთანავე მიღებულია, რომ როგორც მგზავრების მოძრაობის, ან ერთი ქვეყნიდან მეორეში შესვლის და უკან დაბრუნების, ისე საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ სავსებით დაცულ იქნება ის წესები, რომლებიც ამის შესახებ დადგენილია ამა თუ იმ ქვეყანაში.

მუხლი 18.

კომერციული დამოკიდებულების მისაღწევად და ეკონომიური, ფინანსიური და სხვა საკითხების მოსაწესრიგებლათ, რაც საჭიროა ხელშეკრულებით მონაწილე მხარეთა შორის მეგობრული განწყობილების განსამტკიცებლად, ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ თბილისში მოწვეული იქნება კომისია დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 19.

ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ სამი თვის განმავლობაში დასდონ საკონსულო კონვენციები.

მუხლი 20.

ეს ხელშეკრულება ოსმალეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს მთავრობათ შორის დადებული საჭიროებს რატიფიკაციას.

რატიფიკაციის გაცვლა მოხდება ერევანში, რამდენადაც შესაძლებელია, ახლო მომავალში.

ეს ხელშეკრულება შედის ძალაში რატიფიკაციის სიგელების გაცვლის შემდეგ, გარდა 6, 14, 15, 16, 18 და 19 მუხლ., რომლებიც დაუყოვნებლივ შედიან ძალაში ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

ზემოხსენებულის დასამოწმებლად ხსენებულმა რწმუნებულებმა ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და თავისი ბეჭდით განამტკიცეს.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ქალაქ ყარსში 5 ეგზემპლიარად,—13 ოქტომბერს 1921 წ. (1337) წ.

(ა. ბ.) ა. მრავიანი.
(ა. ბ.) პ. მაკინციანი.
(ა. ბ.) ბ. შახთახტინსკი.
(ა. ბ.) შ. ელიავა.
(ა. ბ.) ა. სვანიძე.
(ა. ბ.) ი. განეცკი.
(ა. ბ.) კიაზიმ კარა ბექირი.
(ა. ბ.) ვეჯი.
(ა. ბ.) მუხთარ.
(ა. ბ.) მემდუხ-შევქეთ.

დანართი I.

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ოსმალეთისა დადგენილია შემდეგ ნაირად (თანახმად რუსეთის გენერალური შტაბის რუკისა, მასშტაბით 1,210.000—5 ვერსი დიუიმში).

სოფელი სარფი შავ ზღვაზე—თაყარაშალვერი (5,014), შემდეგ წყალთა გამყოფით რ. ც.-სთან (Р. Ц.), რომელიც მდებარეობს სოფელ ზემო მარადიდის ჩრდილოეთით, გადასჭრის მდინარე ჭოროხს სოფელ ზემო მარადიდის ჩრდილოეთით, და შემდეგ მისდევს სოფელ სამეურის ჩრდილოეთით, მთა ხედის-მთა (7.052)—მთა ქვაკიბე—სოფელი [illegible]—წყალთა გამყოფი ხაზი მთა მეძიბნა-მთა [illegible] (6.468)—მისდევს შემდეგ მთა კორდას (7 910) წყალთა გამყოფ ხაზს და შავშეთის ქედის დასავლეთი შტოთი გამოდის ყოფილი არტვინის ოლქის ძველ ადმინისტრატიულ საზღვარზე, მისდევს შავშეთის ქედს, გამოდის მთაზე სარი ჩაი (ყარა ისსალ) (8.478) ყვირალის ულელტეხილი, ხოლო აქედან გამოდის ყოფილი არტაანის ოლქის ძველ ადმინისტრატიულ საზღვარზე მთა კანი დაღთან, აქედან მიემართება რა ჩრდილოეთით, მიდის მთასთან თელლი (ცრმანი) (8357)—მისდევს რა არტაანის ოლქის წინანდელ საზღვარს, გამოდის სოფელ ჩადლის ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარესთან ფოცხოვ-ჩაი და მისდევს ამ მდინარეს სამხრეთისაკენ სოფელ ჩანჩახის პუნქტამდე, აქ სტოვებს ამ მდინარეს და მიდის რა წყალთა გამყოფზე, გამოდის მთაზე [illegible] (8512), გადადის მთებზე [illegible] თაფა (8463)—მთა ხარმან თაფა (9709), მიაღწევს მთამდე კასრის სერი (9681) და მისდევს მდინარე [illegible]—ჩაის ვიდრე, მდინარე მტკვრამდე, აქედან მისდევს მდინარე მტკვრის ტალვეგს პუნქტამდე სოფ. კართანაქევის აღმოსავლეთით, სადაც შედის მდინარე მტკვარს, გასდევს რა მთა ყარა ოღლის (7259) წყალთა გამყოფ ხაზს, საიდანაც [illegible] ორ ნაწილად ტბა [illegible], გამოდის მწვერვალზე 7580 (7560), ხოლო აქედან მთაზე [illegible] (9.152) მიდის მთებზე უჩ-თაფალარი (9788), სადაც თავდება საზღვარი საქართველოსთან და იწყება საზღვარი სომხეთთან; მთა ტაშ ყალა (9.716)—მწვერვალი 9.065—სადაც სტოვებს არტაანის ოლქის წინანდელ საზღვარს და მიდის მთებზე [illegible] (9963 ანუ 9973)—8828 ანუ 8827—7602—და შემდეგ პირდაპირი ხაზით მწვერვალზე 7.518, გადის რა სოფელ იბიშის აღმოსავლეთით, და შემდეგ მთაზე ყიზილ-დაში (7.439 ანუ 7440 ანუ 7490)—

სოფელი ახალი ყიზილ-დაში ხოლო აქედან მისდევს მდინარეს, რომელიც მიმდინარეობს ახალ ყიზილ დაშზე, მის მოსახვევამდე, რომელიც არის ყარა შამლის ჩრდილო-დასავლეთით, შემდეგ მიდის წყალთა გამყოფზე და გამოდის მდინარე ჯამშ-ბუ-ჩაიზე *) (რომელიც მდებარეობს სოფლების დეკლუერის დიდი ქმლის და თიბნისის აღმოსავლეთით),— სოფლებზე ვირთანლი და ბაშ-შურაგელი, მისდევს აღნიშნულ მდინარეს და გადის მდინარე არფა-ჩაიზე სოფელ ქიალიალის ანუ ქილილის ჩრდილოეთით,—საიდანაც მისდევს რა ძლიერ არფა-ჩაის ტალვეგს გამოდის მდინარე არაქსზე, მისდევს არაქსის ტალვეგს ვიდრე სოფელ ჯულფამდე, სადაც თავდება საზღვარი სომხეთთან და იწყება საზღვარი აზერბეიჯანთან, და შემდეგ ხელახლა მისდევს არაქსის ტალვეგს ვიდრე ქვემო ყარასუს შესართავამდე, სადაც თავდება საზღვარი უკანასკნელ სახელმწიფოსთან.

№ B. იგულისხმება რომ საზღვარი გადის წყალთა გამყოფ ხაზზე ნაჩვენებ მწვერვალებით.

(ხელმოწერანი).

დამატება II.

შეიტყობილია რა მხედველობაში, რომ სასაზღვრო ხაზი, როგორც ეს ნაჩვენებია I დამატებაში, მისდევს მდინარეების არფა-ჩაის და არაქსის ტალვეგებს, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ღებულობს ვალდებულებას გადასწიოს ხაზი ალექსანდროპოლ—ერევნის რკინის გზიდან 8 ვერსის მანძილზე ალექსანდროპოლ—ერევნის რკინის გზიდან [illegible] მოხაზულობით არფაჩაის რაიონში, და 4 ვერსის მანძილზე ზემო-აღნიშნული რკინის გზის ხაზიდან არაქსის რაიონში. [illegible] რომელიც აღმოსაზღვრავს ზემოხსენებულ რაიონებს, ნაჩვენებია ქვემოთ [illegible] § I ის პუნქტებში A და B, და არაქსის ზონისათვის § 2 ში.

§ 1. არფაჩაის ზონა.

A) სამხრეთ-აღმოსავლეთით გართანლიდან, აღმოსავლეთით უზუნ ქილისიდან, ჩ ი ა ხ უ ი ოხური (5.086)—5082—5047 — აღმოსავლეთით ქარაირ ვანქლუ-თაფადან (6578 ანუ 5578), აღმოსავლეთით არახოღლიდან, აღმოსავლეთით ანიდან, მიაღწევს არფა-ჩაის ჯუნქვის დასავლეთით.

B) შორეულ არფა-ჩაის აღმოსავლეთით მწვერვალიდან 5019, მიდის პირდაპირ მწვერვალზე 5481—4 ნახ. ვერსტით აღმოსავლეთით ყიზილ-ყულადან, 2 ვერსტით აღმოსავლეთით ბოჯალიდან, შემდეგ მდინარე დაგორჩაი მისდევს ამ მდინარის გაშვრივ ვიდრე სოფლამდე დუზ ქეჩუტი, მიდის პირდაპირ ყარაბაზის ხანგრევების ჩრდილოეთით და გამოდის არფა-ჩაიზე.

§ 2. არაქსის ზონა.

პირდაპირი ხაზი ხარაბა ალიჯანსა და სოფელ სოლეიმანლიზას შუა.

ზონებში, რომელიც ერთის მხრით განისაზღვრება ალექსანდროპოლ—ერევნის რკინის გზის ხაზით, და მეორეს მხრით ხაზით, რომელიც მდებარეობს 8 და 4 ვერსტის მანძილზე ზემონაჩვენებ რკინის გზის ხაზიდან, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ღებულობს ვალდებულობას არ ააგოს არავითარი ფორტიფიკაციული სიმაგრეები (მანძილთა ეს ხაზები იხაზება ზემო ნაჩვენებ ზონების გარეშე), და არ იყოლიოს მასში რეგულიარული ჯარი, მაგრამ ამასთანავე იტოვებს უფლებას იყოლიოს შემოაღნიშნულ ზონებში ჯარი, საშინაო წესიერების დასაცველად და უშიშროებისათვის, და ადმინისტრატიულ საჭიროებისათვის.

(ხელმოწერანი).

დამატება 3.

ტერიტორია ნახიჩევანისა.

სოფელი ურმია, შემდეგ პირდაპირი ხაზი სადგ. არაზდიანზე, (შედის სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის საზღვრებში), შემდეგ პირდაპირი ხაზი მთაზე დასავლეთი დაშბურუნი (3142) და შემდეგ წყალთაგამყოფით მთაზე აღმოსავლეთი დაშბურუნი (4108), გადასჭრის მდინარეს ჯახიმ-დარასი, სამხრეთით წარწერისა „Род.“ (სამხრეთი), მიდის წყალთაგამყოფით მთაზე ბაგარსიხი (6.607, ანუ 6587), შემდეგ ყოფილ ადმინისტრატიულ საზღვარზე ერევნის და შარურ-დარალაგეზის მაზრებისა, 6629-ზე გაივლით მთამდე კემურლუ-დაღი (6839 ანუ 6930) და შემდეგ მწვერვალებზე 3080 სარაი-ბულაღი (7868)—სოფელი ქურტ-კულაღი (ქიურტ კულაგი)—მთა გამესურ დაღი (8160)—მწვერვალი 8022—კუკი დაღი (10282) და აღმოსავლეთით ადმინისტრატიული საზღვარი ყოფილი ნახიჩევანის მაზრისა.

(ხელმოწერანი).

---

*) სახელწოდება ჯამუშ-ბუ-ჩაი არ არის ნაჩვენები რუქაზე 1899 წლის გამოცემისა.

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი

რუსეთ-პოლონეთის შეთანხმების გარშემო.

მოსკოვი. 20 ოქტ. (რადიო). პოლონეთის პრესა განსაკუთრებული სიცხოველით მსჯელობს ამხ. კარახანის შეთანხმების შესახებ დომბსკისთან. „ვარშავის გაზეთი“-ს წერილში: „საბჭოთა დიპლომატიური და საპროპაგანდო გამარჯვებანი“ წერს: „ჩვენს დიპლომატიას არ შეუძლია საბჭოთა მთავრობის დიპლომატიას გაუწიოს მეტოქეობა. გუშინ ნათლად და უდავოდ იქნა დამტკიცებული ყველა პარტიული ჯგუფების მიერ, რომ [illegible] ინიციატივა მოსკოვის ხელშია, [illegible] ბოლშევიკებს ჩვენს დიპლომატიაზე ყოველ მხრით მოიგეს იერიში. სავინკოვის, პეტლიურას და მათი 12 ამხანაგის გაძევება პოლონეთიდან ჩვენთვის მძიმე დამარცხების ნიშანია. გაზეთი „რეჩპოსპოლიტა“ განაგრძობს თავის კამპანიას პოლონეთის სამხედრო წრეების წინააღმდეგ დომბსკისთან ამხ. კარახანის შეთანხმებასთან დაკავშირებით. „იგულისხმება, ამბობს გაზეთი, მთელი ქვეყანა კმაყოფილია რუსეთისა და პოლონეთის შორის კონფლიქტის მშვიდობიანი დამთავრებით, მაგრამ ის შეურაცხყოფილია იმით, რომ ეს მოხდა გარედან ზედმოქმედებით. ჩვენი სამხედრო ხელისუფლებანი მხოლოდ შეთქმულობაზე და ფიქრობენ. შედეგად პოლონეთიდან განდევნილია პირები, რომლებთანაც გუშინ ჩვენ ერთად ვმუშაობდით. მათ ჩვენ სახელი გაგვიტეხეს მთელი ევროპის წინაშე. გაზ. „ჩვენი კურიერი“ წერს: „ასეთი [illegible] გადატრიალება სავინკოვის პოლიტიკისა საბჭოთა რუსეთის მიმართ მართლაც კაპიტულიაციად გვეჩვენება. კარახანის მოთხოვნით, პოლონეთი აძევებს თავისი ტერიტორიიდან ანტიბოლშევიკურ მოღვაწეებს, უარს ეუბნება მათ თავშესაფარზე, ე. ი. მიდის იმაზე უფრო შორს, რასაც თვით ჩიჩერინი მოითხოვდა.

პოლონეთის ახალი პროვოკაცია.

მოსკოვი. 20 ოქტომბერი, (რადიო) ვარშავაში პოლონეთის ხელისუფალთა მიერ საბჭოთა რუსეთის მიმართ ჩადენილია ახალი დანაშაული, რომელიც ჩრდილავს ყველა წინანდელ მოქმედებას. 17 ოქტომბერს რუსეთ-უკრაინის შერეულ კომისიის შიკრიკი, მოქალაქე ციმონსკი, რომელიც ოფიციალური [illegible] მიდიოდა რუსეთის საელჩოსაკენ, დაკავებულ იქნა პოლონეთის პოლიტიკური პოლიციის აგენტების მიერ და [illegible] დიპლომატიის წარდგენისა, წაიყვანეს პოლონეთის [illegible] განყოფილებაში, სადაც მას ჩამოართვეს რუსეთ—უკრაინის ოფიციალური ფოსტა. ერთი საათის შემდეგ დაბეჭდილი წიგნი და პაკეტები დაუბრუნეს მას, მაგრამ ეტყობოდათ გახსნის აშკარა ნიშნები. ეს უკუღმართი დარღვევა დიპლომატიურ ურთიერთობათა საყოველთაოდ მიღებულ წესებისა მოწმობს, რომ პოლონეთის ხელისუფლებს გადაწყვეტილი აქვთ არაფრის წინაშე არ შეჩერდნენ თავის პროვოკაციულ პოლიტიკაში საბჭოთა რუსეთის მიმართ. რადგან დღეს, მათ ახსოვდეთ, რომ მოსკოვში იმყოფება პოლონეთის საელჩო და საერთაშორისო დამოკიდებულებათა ელემენტარულ წესს წარმოადგენს რეპრესიის უფლება.

ამასთან ერთდროულად ვარშავის პრესა ამტკიცებს რუსეთის მთავრობის შეთანხმების აუსრულებლობაზე, მაშინ როცა სავინკოვის, ბალახოვის და პეტლიურას არც ერთი თანამშრომელი არ არიან ჯერ გაძევებული პოლონეთიდან. თავისი ყალბური, [illegible] და უპირცხვილო ცილის წამებით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის პრესას სურს დაფაროს ახლად დადებულ შეთანხმების პოლონეთის მთავრობის მიერ უხეში დარღვევა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

[illegible] მრეწველობა

[illegible], 19 ოქტომბერი (რადიო) ნავიგაციის დასაწყისიდან 13 ოქტომბრამდე საზღვარ-გარეთიდან პეტერბურგის ნავსადგურში მოვიდა 200 გემი; მათგან 1 ოქტომბრამდე მოვიდა 179 გემი, მათ რიცხვში გერმანიის 92, ინგლისის 25, დანიის 14, გოლანდიის 13, შვეციის 7, ნორვეგიის 6. 1 ოქტომბრამდე მოვიდა 15 640.000 ფუთი საქონელი, მათ რიცხვში სასურსათო 5.547.000 ფ., სამრეწველო იარაღები 394.000 ფ. ამავე ხნის განმავლობაში გაგზავნილია საზღვარ გარეთ რუსეთის საქონლით 9 გემი, რომლებზედაც დატვირთეს 474.686 ფიცარი, 48.795 ფ. სელი, 106.000 ფ. აზბესტი, 7.300 [illegible]. საწყობებში იმყოფება სელის მნიშვნელოვანი რაოდენობა, კანაფი, ბეწვეულობა, ტყავის და ტყის მასალები, რომლებიც მზად არიან საზღვარ-გარეთ გასატანათ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ამერიკა

გაფიცვები ამერიკაში

მოსკოვი, 20 ოქტომბერი (რადიო) ამერიკის რკინის გზების მეთაურებმა განაცხადეს, რომ რკინის გზელთა გაზრახული გაფიცვა ამერიკაში უდიდესი მოვლენა იქნება ამერიკის გაფიცვითი მოძრაობის ისტორიაში. ამერიკელ რკინის გზელთა 90 პროც.-ზე მეტმა ხმა მისცა გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ. პარიზის გაზ. „ტანი“ ამტკიცებს, რომ 30 ოქტომბრისათვის რკინის გზელთა გაფიცვა მოედება 500.000 მუშას. 2 ნოემბრისათვის მუშაობას შესწყვეტენ 2 მილიონ კაცამდე. რკინის გზის მოძრაობა შეერთებულ შტატებში სრულებით შეჩერდება.

იტალია

იტალიის სოციალისტურ პარტიის განხეთქილება.

მოსკოვი. 20 ოქტ. (რადიო). იტალიის სოციალისტების ყრილობაზე ტურატი ირწმუნებოდა, რომ არ დაეშვათ განხეთქილება და ბრალს დებდა ლაძარის და მაფის, რომლებიც წინადადებას იძლეოდნენ ეს ხელი მთავრობის საგარეო პოლიტიკის გატარებისათვის გამოერიცხათ რეფორმისტები, კონგრესის ყრის დროს სერატის რეზოლუციამ მიიღო 47.628 ხმა, ტურატის რეზოლუციამ თანამშრომლობის სასარგებლოთ— 19.916 ხმა, ლაძარის და მაფის რეზოლუციამ, რომელიც მე 3 ინტერნაციონალს ემხრობოდა—3.786 ხმა. ხმის მიცემის შედეგების გამოცხადების შემდეგ წაკითხულ იქნა მესამე კომინტერნის წარმომადგენლების ვალეცკის და კლარა ცეტკინის განცხადება: კონგრესის სხდომის შედეგების შემდეგ, რომლებიც ცხადათ ამტკიცებს სოციალისტების კაპიტულიაციას რეფორმისტების წინაშე და ერთხმად მიღებულ საზეიმო ვალდებულებების აშკარა დარღვევას, აღმასკომის დელეგაცია მოაგონებს, რომ კომინტერნის სექციათ იტალიაში ჩაითვლება განსაკუთრებით იტალიის კომუნისტური პარტია.

საერთო [illegible]

ნაუენი. 17 ოქტ. (რადიო). ხალხთა ლიგის დადგენილება ზემო სილეზიის გაყოფის შესახებ იწვევს ყველა ქვეყნის გულის წყრომას. გაზეთები ამტკიცებენ, რომ ეს დადგენილება გამოტანილი იყო საფრანგეთის გავლენით. დანიის პრესა შეკვეთით აკრიტიკებს ხალხთა ლიგის დადგენილებას ცოცხალი ორგანიზმის, ზემო სილეზიის 3 ნაწილად გაყოფის შესახებ და ეკითხება: [illegible] თუ არა 15 წლის შემდეგ პოლონეთი. ყოველ შემთხვევაში საკვირველია, რომ გასაოცრებელი უპირატესობით დაუხმარეთ სომხეთს, რომლის კეთილდღეობა [illegible] უმთავრესად ეყრდნობა ტექნიკის და გერმანიის კეთილგონიერების წყალობით. ზემო სილეზიის გერმანიისაგან მოკვეთა საშინელი საქმე იქნება თუ ბედი არა არა გერმანიისათვის არამედ მთელ ევროპისათვისაც.

რომი. 18 ოქტ. (რადიო). გერმანიის პრესა განაგრძობს ენერგიულ პროტესტს ხალხთა ლიგის გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

ნაუენი. 19 ოქტ. (რადიო). გერმანიის [illegible] დღეს ტელეგრაფით [illegible] ზემო სილეზიის გაყოფის გადაწყვეტილების შესახებ, რადგანაც ხალხთა ლიგის დადგენილება ოფიციალურად ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

— პარიზის გაზეთი „პტი ჟურნალ“-ი იუწყება, რომ ეკონომიური შეთანხმების წერილმანები არ არის გათვალისწინებული საზავო ხელშეკრულებით და ამიტომ ქვეყნების გადაწყვეტილებას შედეგათ მოყვება ზოგიერთი ზედმოქმედება გერმანიასა და პოლონეთზე. პარიზის გაზეთი ითვალისწინებს ამ გადაწყვეტილების გამო ზემო-სილეზიის ზოგ რაიონებში მძიმე შედეგებს. ძნელი არ არის მიხვდე გერმანიის პოზიციის შეურიგებლობას პოლონეთისადმი და წინააღმდეგ [illegible] პოლიტიკოსების სურვილისა, შედეგათ თავიდან ვერ აიცილებს გერმანიის და პოლონეთის ეკონომიურ ომს.

— მადრიდის პრესა აცხადებს, რომ ხალხთა ლიგის დადგენილება ზემო სილეზიის გაყოფის შესახებ მტრობის აქტია და ძალადობაა გერმანიაზე.

პოლონეთი.

ლონდონი. 11 ოქტომბერს. (ტელეგ.) საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებული საგარეო საქმეთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პოლონეთი განიცდის სერიოზულ ეკონომიურ კრიზისს. მდგომარეობა უსუგებოა. პანიატოვსკის კაბინეტი დაცემის წინ დგას. პოლონეთის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიური ატმოსფერა მოგვაგონებს უკრაინაში ჰეტმანის ბატონობას. ყველა ჩქარობს პოლონური მარკები გადაცვალოს საზღვარ გარეთულ ვალიუტასა და ბრილიანტებზე. ყველა მომავალ არეულობის შიშს განიცდის.

სტამბოლში აღმოჩენილ შეთქმულების გამო.

პარიზი, 1 ოქტომბერი. გაზ. „ტანი“ აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა ხელის უფლების წინააღმდეგ შეთქმულების გამომაშკარავებამ გამოიწვია დიდი მღელვარება კონსტანტინოპოლისა და ინგლისის ადმინისტრატორებს შორის. მიუხედავად ამისა სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები არ იზიარებენ ინგლისელების შიშს. ინგლისის ჯარების სარდალმა გენერალ ჰარინგტონმა ტელეგრაფით აცნობა ლონდონში, რომ შეთქმულებს კავშირი ჰქონდათ ქემალისტებთან და ჰქონდათ მთელი რიგი ადგილობრივი, განყოფილებები. შეთქმულებს მიზანს შეადგენდა სხვათა შორის შეიარაღებისა და სხვა თვალსაჩინო ჩინოვნიკებზე ტერორისტულ აქტების მოხდენა, შეთქმულების აღმოჩენის შედეგათ უნდა ჩაითვალოს ბოსფორში ინგლისის ახალ ესკადრის მოსვლა დოუბეკის სარდლობით. ესკადრა შედგება 5 ჯავშნოსანი, კრეისერებისა და 10 გემი ნაღმოსაშლელისაგან.

ქ რ ო ნ ი კ ა

◆ შრომის სახალხო კომისარიატში. შრომის დაცვის განყოფილების კოლეგიამ დაადგინა: ამა წლ. 1 ოქტომბრიდან სანიტარული ინსპექტორების რაოდენობა ტფილისში განისაზღვროს ორი პირით. ქუთაისის გუბერნიაში წარმოებათა ტექნიკური მეთვალყურეობა დაევალოს შრომის კომისარიატის შრომის დაცვის ტექნიკურ სექციას. გაუქმებულ იქნას სანიტარულ ინსპექტორების თანამდებობა თელავში, სიღნაღში, ბორჯომში, გორში, შორაპანში. გორის სანიტარულ ინსპექტორს ამხ. ქინიბიძეს მიენდოს გორის, ბორჯომის, ახალციხის და ხაშურის რაიონები სანიტარული მეთვალყურეობა. ბათომის, ქუთაისის და ფოთის რაიონების სანიტარულ ინსპექტორთა თანამდებობა გაუქმებულ იქნეს.

— შრომის კომისარიატმა მისწერა ცენტრალ. სტატისტიკის სამმართველოს, რომ 223 მუშა ბავშვი თანახმად თხოვნისა გაიგზავნოს ბათომს.

— სპეცებისა და პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა ჯილდოს შესახებ კოლეგიამ დაადგინა ეთხოვოს პროფესიონალურ კავშირთა შრომის ნორმების გადაწყვეტილება ამ საკითხის საბოლოო გამორკვევა და ეცნობოს მას, რომ კოლეგიას შეუძლებლად მიაჩნია ერთსა და იმავე დროს არა პასუხისმგებელ თანამშრომელს ეძლეოდეს სპეცის ჯამაგირი და პასუხისმგებელი ულუფა.

◆ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატში. 26 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე შემუშავებული იქმნა საკანონმდებლო წინადადებანი ადმინისტრატიული სასჯელის შესახებ და [illegible] წესის შესახებ, შესდგა თათბირი 7 ნოემბრის გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესახებ, 30 ოქტომბრისათვის დაინიშნა სხდომა, შინა მმართველობის განყოფილების გამგეების; გაიცა განკარგულება და ცირკულიარული წერილები საქმის წარმოებისა და სამაზრო რევკომებისთვის საჭირო წიგნების და სხვ. დავთრების შენახვის შესახებ, ცირკულიარული ბრძანება რევკომებს წითელარმიელთა უფლების დაცვის შესახებ, თანახმად სამხედრო კომისარიატის თხოვნისა. საჩივრები შემოვიდა ამ ხნის განმავლობაში თანამდებობის პირებზე საერთო განყოფილებაში 29 საინფორმაციოში—36, კომუნალურში—40, პასუხი გაეცა მათ 27—20—8. გამოვიდა № 16 მოხსენება.

◆ რკინის გზებზე. ამჟამათ მგზავრებს გრძელი მატარებლებით მიმოსვლისა, რომლის თანახმად ივლის ან თითო ვაგონი პირდაპირ ბათომიდან სარაყამიშამდე და ჯულფამდე, სადაც მატარებლები შეუერთდება [illegible] სარაყამიშ არზრუმის ვიწრო ლიანდაგიან გზასთან, მხოლოდ ჯულფაში თავრიზის რკინის გზასთან. ამ ვაგონებში ადგილები დანომრილი იქნება და განაწილებული [illegible] და ამიერ-კავკასიის რკინის გზების წარმომადგენელთა მიერ. ამასთანავე რკინის გზების განკარგულებაში იქნება სარაყამიშში მიმავალი ვაგონი ნახევარი, ხოლო ჯულფამდე მიმავალ ვაგონის მესამედი.

◆ საქონლის მოტანა ბათომში. 14 ოქტომბერს ბათომში მოვიდა გემი 28.000 ფუთ. სხვა და სხვა საქონლით დატვირთული. ოსმალეთის ნავსადგურებიდან კი სამი მოტორიანი და სამი ნავი 10,000 ფუთ. საქონლით.

◆ განცხადება. ს. მ. უ. ს. ფორმ. განყოფილება აცხადებს, რომ მისთვის საჭიროა [illegible] (ვალერიანი) ძირების მომკრები თბილისის ახლო მიდამოებში. მოკრებილ ნედლ ძირების ფუთში მიეცემათ 40 ათასი მანეთი. ცნობებისთვის უნდა მიმართონ ს. მ. უ. ს. ქიმიურ განყოფილებას (პუშკინის ქუჩა № 3 [illegible]).

◆ დატვირთულ ვაგონების გაჩერებისათვის ფასის გადიდება. საქონლის სწრაფი მიწოდების მიზნით და სადგურების გზების გასაწმენდათ კერძო პირების და დაწესებულებების სახელობაზე მოსული საქონლისაგან სადგურზე ვაგონების გაჩერებისათვის ბათომში, ფოთში, ქუთაისში, ტფილისში, ბაქოში და ერევანში 15 ოქტომბრიდან, არსებული ფასის გაუქმებამდე, ფასები გადიდებულია 10-ჯერ ე. ი. 60000 მანეთის მაგიერ 600,000 მანეთი. საქონლის შენახვის ფასი გადიდდება 3 ჯერ ე. ი. 60 მანეთის მაგიერ დღე-და ღამეში აიღებენ 180 მანეთს.

— უმაღლეს რევ. ტრიბუნალში. 22 ოქტომბერს, ა. წ. დილის 10 ს. უზენაეს რევოლუციონურ ტრიბუნალის მიერ შემდეგ შემადგენლობით: თავმჯდომარე ვაშაძე, კოლეგიის წევრები ბურჯაძე და ჩოლოყაშვილი, სახალხო ბრალმდებელ გოგობერიძეს და სახაზინო დამცველი ოგანოვი, იქნება გარჩეული საქმე ეფიმე ლუკიანის ძე ვაულინისა, (მცხოვრების ბორჩალოს მაზრის ს. ნოვო - მიხაილოვკისა), რომელსაც ბრალდება კონტრ-რევოლუციონერობა.

◆ გაზეთების ქუჩებზე გაკვრის შესახებ. ვინაიდან ტფილისის ქუჩებზე სხვა და სხვა პირნი და დაწესებულებანი აკრავენ გაზეთებს, პლაკატებს, მოწოდებებს და ხშირად პორნოგრაფიული ხასიათის განცხადებებს, [illegible] რაიცა ამახინჯებს სახლების და შენობების სილამაზეს, ტფილისის ქალაქის რევკომმა დაადგინა აკრძალულ იქნას აღნიშნული პლაკატების გაკვრა გარდა ამისათვის მიჩენილ ადგილებისა. დადგენილება ესე მიენდოს შესასრულებლად ქალაქის კომენდანტს და მილიციას.

— სტუდენტების და მოწაფეების სამსახურიდან განთავისუფლება. შრომის კომისარიატის კოლეგიამ ოქტომბრის 6 ს დაადგინა განთავისუფლებულ იქნენ სამსახურიდან სურვილისამებრ სტუდენტები და მოწაფეები 27 წლამდის დაწყებულ სწავლის გამო.

◆ ჩამორთმეულ ნივთების ანაზღაურება. ვინაიდან იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დღემდე არ გამოქვეყნებულა სათანადო ინსტრუქცია ხოლო ქალაქის რევკომში შემოდის სხვა და სხვა მოქალაქეების თხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია, ქალაქის რევკომმა დაადგინა დაარსებულ იქნას რეკვიზიციის წესით ჩამორთმეულ ნივთების შესაფასებლად დროებითი კომისია, რომელშიაც შევიდეს ქალაქის რევკომის კომუნალურ განყოფილების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელნი.

◆ გადასახადი წყალზე და ელექტრონზე. რევკომმა მოისმინა კომუნალურ განყოფილების გამგის მოადგილის ამხ. ზაქრაძის მოხსენება ქალაქის ელექტრონის სადგურების მდგომარეობასა და [illegible] გადასახადის აუცილებლობაზე და წყალზე გადასახადის გადიდების შესახებ. მოხსენების გამო ქალაქის რევკომმა დაადგინა:

პროექტი გადასახადის გადიდების შესახებ მიღებულ იქნას. გადასახადის რაოდენობა განისაზღვროს 18 000 მან. კილოვატზე. მუშა-მოსამსახურეთათვის გათვალისწინებულ იქმნას შეღავათი, ხოლო ვინაიდან ამით გამოწვეული დეფიციტი არ იქმნა დაფარული სახელმწიფოს მიერ, წარმოება ვერ იარსებებს, ამ შემთხვევაში საკითხი წარედგინოს საქართველოს მთავრობას, რომელიც განსაზღვრავს შეღავათის რაოდენობას.

წყალზე გადასახადის გადიდების შესახებ დადგენილ იქმნა წყლის სარგებლობა ყველასათვის ფასიანია, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა კერძო ბინებზე მცხოვრებ წითელ არმიელებისა და დაწესებულებებისათვის შემოღებულ იქნას შეღავათი: მუშა-მოსამსახურენი წყლის თვით ღირებულების 25 პროც.-ს, ხოლო დაწესებულებანი 50 პროც. ს.

წარმოებითი პროფკავშირებში

აღმშენებელთა კავშირი

კავშირის ცენტრალურ გამგეობას ჰქონდა სამი სხდომა, რომელზედაც უმთავრესათ განიხილეს საორგანიზაციო ხასიათის საკითხები, როგორიც არის: პრეზიდიუმის არჩევნები, განყოფილებათა ორგანიზაცია, ხეზე მომუშავეთა კავშირის გაერთიანება, რომელზედაც გამოტანილი იქნა პრინციპიალური შეთანხმება, მოისმინეს იქნა ამხ. [illegible] მოხსენება რუსეთის აღმშენებელთა ყრილობის შესახებ, რომელიც თავის მოხსენებაში შეეხო ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, ახალ ტარიფებს, სახელმწიფო მშენებლობის კომიტეტის ურთიერთ დამოკიდებულებას და კავშირის საორგანიზაციო მიზნებს, მუშათა კოლექტიურ ხელშეკრულებას, რის დასასაბუთებლად მოხსენებელმა მოიყვანა ყრილობის დადგენილებანი და ინსტრუქციები. მოხსენება მიღებული იქმნა ცნობად და დაადგინეს დაამყარონ მჭიდრო კავშირი რუსეთის მშენებელთა კავშირთან, ურთიერთი ინფორმაციის გზით, სრულიად საქართველოს მშენებელთა ყრილობის დადგენილების თანახმად ეკონომიურ საბჭოს დაევალოს სახელმწიფო შენობათა კომიტეტის გადაკეთება. პრეზიდიუმმა თავის სხდომებზე განიხილა ტექნიკურ ხასიათის 23 საკითხი.

საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილება

სწარმოებს საორგანიზაციო მუშაობა ყრილობის მოსაწვევად, რისთვისაც პროვინციაში გაიგზავნენ ინსტრუქტორები, რომლებსაც გამოარკვიეს, რომ ნორმალური მუშაობა სწარმოებდა ბათომის კავშირის განყოფილებაში, დანარჩენ რაიონებში კი, როგორც ქუთაისში, ბორჯომში, ახალციხეში, გორში, მოეწყობა ახალი განყოფილების მოწყობა, აგრეთვე ვინაიდან ქსნის ქარხანას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ამისათვის იქ მოეწყო კავშირის განყოფილება. გადაწყვეტილია რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცეს პროვინციას, რათა დააყენონ ფეხზე კავშირი და მისცენ მას მუშაობის უნარი პროფმუშაობის საწარმოოდ. ყრილობის შემდეგ მოხდა არჩევნები, ადგილობრივ და ქარხნის კომიტეტებისა. ამ ჟამად სწარმოებს საქალაქო კონფერენციის მოსაწვევათ მოსამზადებელი მუშაობა.

ქულტ. განმ. განყოფ. მოეწყობილია ერთი კულტურული წრე „[illegible]“, შემუშავებულია გეგმა კავშირის კულტურული მოწყობის სრულიად საქართველოს მასშტაბით. პროფსკოლებში გახსნილია 3 ჯგუფი, მოხდა პროფტექნიკური სკოლის პირველი გამოშვება, რომელიც დაამთავრა 18 კაცმა. სამი დაინიშნა ინსტრუქტორებად, დანარჩენები კი ხელოსნებად. მეორე ჯგუფის მეცადინეობის დაწყებისას გაიხსნება კიდევ ერთი სამი განყოფილება.

ეკონომიური განყოფილება

ვინაიდან სადგ. ქსნის [illegible] ქარხანა იმყოფება კრიტიკულ მდგომარეობაში, იქ გაიგზავნა კომისია, რომელსაც დაევალა ქარხნის სრული შემოწმება, როგორც ტექნიკური ისე ადმინისტრაციული [illegible]. საბოლოოთ გამორკვეულია სახელმწიფო შენობათა კომიტეტის საწარმოო გეგმა და საბრუნავი კაპიტალი და [illegible] ს. 3. ს. თბილისის [illegible] ქარხნებმა შეუდგნენ [illegible] გამოშვებას დღიდან თით 250.000 ცალი. გამოიუშვებს და გადაეცეს ს. პ. კ. ს. დასაცველად მუშათა მოთხოვნილებისთვის სამის დღე. მისას დამთავრების საკითხი.

შრომის საწარმოო განყოფილება

ს. 3. ს. [illegible] მიერ გატარებულია სახელმწიფო შენობათა კომიტეტის ტრესტის 43 თანამშრომელ სპეცებისათვის. თითქმის ყველა საქმიანებში [illegible] წარმოებაში გატარებულია ნარდით მუშაობა, რაც სასურველად [illegible] შრომის საწარმოო განყოფილების მუშაობა. [illegible] ქარხნების გამოკვლევის შემდეგ გამოირკვა, რომ ამ ქარხნების ტერიტორიაზე მძვინვარებს ტროპიკული ციება. მუშათა ავათმყოფობა 98 პროც.-ია. ადგილობრივ მოწყობილია საამბულატორიო დახმარება. მიღებულია ზომები [illegible] ადგილებიდან მუშების გადმოსაყვანებისთვის ქალაქის ჯანსაღ ადგილებში. ხელახლა ჩაიწერა სექტემბერში 166 წევრი.

პროვინციაში

ქ. ახალ-სენაკი.

21 სექტემბერი, კავკასიის განსაკუთრებული არმიის სამი წლის არსებობის დღე, დიდებულად ჩატარდა ახ. სენაკში. რევოლუციონური მაზრის ცენტრმა ღირსეულად [illegible] თავის ვალი კავკასიის ცალკე არმიის წინაშე.

თანახმად წინასწარ შედგენილ გეგმისა, ქალაქის სხვა და სხვა რევოლუციონური ორგანიზაციებმა დროშებით და ინტერნაციონალის სიმღერით თავი მოიყარეს სენაკის პარტკომის წინ, სადაც მუსიკამ შეასრულა რამოდენიმე რევოლუციონური ჰიმნი, სამ. პარტკომიდან [illegible] და რევოლუციონური დროშებით ყველა იქ თავ მოყრილი ამხანაგები მწყობრად გაემგზავრნენ [illegible] და [illegible] ქუჩით გავიდნენ ძმათა სასაფლაოზე, სადაც იყო გამართული ტრიბუნა მორთული ყვავილებით და საბჭოთა რესპუბლიკის დროშით და ლენინის; ტრიბუნასთან ჩამწკრივებული იდგა დროშებით და პლაკატებით № პოლკი. იქვე ახლოს იდგა საქართველოს წითელ ლაშქრის ჯავშნიანი რაზმი, რომლის ავტომობილები მორთული იყო გირლიანდებით და პლაკატებით. ყველა მონაწილეთა [illegible] სახე მოწმობდა იმ განსაკუთრებულ სიხარულზე, რომელსაც განიცდიდნენ ისინი იმ ვითარ დღესასწაულისა გამო: სამეგრელოს მშრომელი ბედნიერად გრძნობდა თავს დღესასწაულ პროლეტარულ არმიის სამი წლის თავი იმ ქალაქში, რომლის ქუჩებს სამი წლის წინეთ ტკეპნიდნენ მენშევიკების მიერ რევოლუციის ჩასაქრობად მოყვანილი კაიზერის მონა მორჩილი ჯარები. მიტინგის გახსნისას პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა № პოლკის სამხედრო კომისარმა ამხ. ჟუკოვმა, მეორე სიტყვა წარმოსთქვა საქ. არმიის ჯავშნიანი რაზმის სამხედრო კომისარი ორჯონიკიძემ, სამაზრო პარტიული კომიტეტის სახელით ჯარს მიესალმა ამხ. მაკარი ხუდია, რევოლუციონურ კომიტეტის სახელით მიესალმა კ. მელიქიძე და ახალ-გაზრდათა კომკავშირის სენაკის სამ. კომიტეტის სახელით ხუხუა.

ყველა ორატორებმა მოიგონეს წითელი ჯარის ხანგრძლივი გმირული ბრძოლის ისტორია, დახასიათეს მისი თავგანწირული ბრძოლა კომუნიზმისათვის, საკაცობრიო იდეალებისათვის. ხაზი გაუსვეს 11-არმიის განსაკუთრებულ დამსახურებას ამიერ-კავკასიისა და კერძოთ ქართველ მშრომელთა შინაურ მოღალატეთა და გარეშე იმპერიალისტების კლანჭებისაგან განთავისუფლების საქმეში, უსურვეს მას მომავალში პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის იგივე თავ გამოდებული და წარმატებითი ბრძოლა. მიტინგის დასრულების შემდეგ იქვე მე 73-ე პოლკის უფროსმა, იმავე პოლკის სამხედრო კომისარმა, სამხ. პარტკომის პასუხის-მგებელი მდივანმა და მაზრის რევკომის თავმჯდომარის ამხანაგმა მიიღეს ორკესტრით გამვლელი პოლკის ნაწილები, ჯავშნიანი რაზმი და სხვა და სხვა ორგანიზაციების შეიარაღებული ძალები. [illegible] რომელიც გამართა სადღესასწაულო მატარებლით ამხ. მწვანიძის თანხლებით. მატარებლის მოსვლისთანავე იქნა გამართული მიტინგი. ხელ-მეორეთ მიტინგზე გამოვიდენ მოხსენებით ამხ. მჭედლიძე რუსულად და ამხ. პაპავა ქართულად. ამხ. დახასიათეს წითელი ჯარების დაუფასებელი დამსახურება მშრომელთა განთავისუფლების საქმეში; განმარტეს ახალი და მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მოძრაობის დაწყების 50 წლის დღესასწაულისა:

ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს სახელოვან წითელ არმ. საშუალებით რუსეთის გარეშე ფრონტებიდან ძლევამოსილ გამოსვლას და ამ მხრივ მის ამ ჟამად [illegible] შეაჩერეს დამსწრეთა ყურადღება იმ ტიტანიურ ბრძოლაზე, რომელსაც საბჭოთა რუსეთი და მასთან ერთად ყველა საბჭოთა რესპუბლიკები აწარმოებენ სამხედრო ფრონტზე არა ნაკლებ საშიშ და მნიშვნელოვან ეკონომიურ ფრონტზე. ამხანაგებმა საკმაოდ განმარტეს რკინის გზების მნიშვნელობა ეკონომიურ ფრონტზე გამარჯვების საქმეში და მოუწოდეს ყველა პატიოსან მშრომელს მედგარ და დაუღალავ შრომისაკენ ბრწყინვალე მომავლისათვის.

მიტინგი დაიხურა საერთო ტაშით.

ბორჯომი.

16 ამ თვეს, საღამოს 7 საათზე, აქ დაესხა მე-ტყის ქარხნის სალაროს 4 შეიარაღებული ყაჩაღი და წაიღეს 18 მილიონი მანეთი. ამის შესახებ სასწრაფოდ შეატყობინეს რევკომს და მილიციას. რევკომის თავმჯდომარის განკარგულებით იქმნა შეკრული ყველა გზები. ორი დამნაშავე შეიპყრეს და ჩამოართვეს ყოფილი გატაცებული ფულები სრულიად. [illegible] და [illegible], რომელთაც დამნაშავეთა [illegible] გამოეკიდნენ. დანარჩენების შესაპყრობათ ზომები მიღებულია.

ქართული სამხედრო სკოლა

იუწყება ოლქის [illegible] ყველა მშრომელთ, რომ თბილისში, [illegible] პროსპექტზე (ყოფ. გოლოვინის პროსპ., № 4) ყოფილ [illegible] გიმნაზიის შენობაში, მოთავსებულია ქართველ [illegible] სამხედრო სკოლა (სამხედრო მეთაურთა კურსები ჯარის ყველა დარგისათვის). სკოლას მიზნად დასახული აქვს მოამზადოს ის პირები, რომელნიც დაინიშნებიან ოცის თავად ქვეითა, არტილერიის, ცხენოსან და საინჟინრო ნაწილებში. სკოლაში მიიღება განათლებით როგორც საზოგადო ისევე სპეციალურ (სხვა და სხვა ჯარის დარგისათვის) სამხედრო საქმეში შემდეგ გატარებისათვის. სკოლა იყოფა ორ კურსად: უმცროსი და უფროსი. სკოლაში მოსწავლეები იმყოფებიან კურსანტებად და სარგებლობენ ყველა უფლებით: უმცროს კურსზე მყოფი [illegible] და უფროს კურსზე კი ოცის თავის თანამდებობისა.

სკოლაში მიიღება შეუძლიან ყველა მშრომელს არა ნაკლებ 18-სა და არა უმეტეს 28 წლისას, რომელნიც დაკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

უმცროს კურსზე მიიღებიან უმთავრესად პირველ დაწყებითი სკოლის არა ნაკლებ სამ კლას დამთავრებულნი, მხოლოდ პოლიტიკურად განსაკუთრებულ რეკომენდაციით აღჭურვილნი მიიღებიან უფრო ნაკლები ცოდნითაც. სპეციალურ განყოფილებაში (არტილერიის და საინჟინრო) მიიღებიან არა ნაკლებ საშ. გიმნაზიის 4 კლასის ცოდნით. უფროს კურსზე მიიღებიან მხოლოდ ისინი ვინც გამოცდას ჩააბარებენ უმცროს კლასის კურსზე.

სკოლაში შესვლის მსურველთ განცხადება უნდა შემოიტანონ სკოლის უფროსის სახელზე პირველ ნოემბრამდე. განცხადებასთან დართული უნდა იყოს: მიღებულ განათლების მოწმობა და პოლიტიკური კეთილსაიმედოობის მოწმობა, ან პარტიულ იაჩეიკის, ან რევკომის, ან პროფკავშირის ან და პარტიის ორი წევრის მიერ ხელმოწერილი სათანადო ბეჭდით დადასტურებული.

ჯარის ნაწილთა უფროსნი არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა გამოუგზავნიან სკოლის უფროსს იმ წითელ-არმიელთა სიას, რომელნიც დაკმაყოფილებენ სკოლაში მიღების პირობებს. ასეთი პირნი უნდა გამოიგზავნონ სკოლაში პირველ ნოემბრისათვის.

ყველა შემსვლელი სკოლაში გაისინჯებიან ჯანმრთელობის მხრით, სამედიცინო კომისიაში განათლების მხრით და სამანდატო კომისიაში პოლიტიკური მხრით. ყველა მიღებული სკოლაში ითვლება ნამდვილ სამხედრო სამსახურში. სკოლაში სწავლის ვადა ორი წელიწადია. სკოლაში ასწავლიან საზოგადო განათლების საგნებს, სპეციალურ სამხედრო საგნებს და [illegible]. სწავლა სწარმოებს სახელმწიფო ენაზე. წარმატებით სწავლა დამთავრებული კურსანტები დაინიშნებიან ოცის თავის თანამდებობაზე სამხედრო ნაწილში: ქვეითა, ცხენოსან, არტილერიის და საინჟინრო და მიიღებენ სახელმწიფოს ხარჯით სამხედრო [illegible] სრულ კომპლექტ ტანისამოსს, თეთრეულს, [illegible] და იარაღს.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლების სამმართველო.

[illegible] [illegible] და [illegible]

ს. მ. უ. ს. ინსტრუქცია სამრეწველო წარმოებების იჯარით გაცემისათვის.

უმოქმედო ან სუსტათ მომუშავე წარმოებების იჯარით გაცემა კერძო ინიციატივის საქმეში ჩარევით, ერთის მხრით, გაადვილებს სახელმწიფოს ზედმეტი ზრუნვისა და [illegible] და შეამცირებს მას ხელში მყოფ მსხვილ [illegible] აღდგენისა და გამაგრებას, მეორე მხრით, იგი გამოაჩენს ახალ საშუალებებს და ძალებს, რომელთა წყალობით გაძლიერდება [illegible] მოსამარაგებლით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის მთელი სამეურნეო ორგანიზმის გაუმჯობესებას.

1) იჯარით გაიცემა წარმოებანი, რომლებიც არ მუშაობენ ან სუსტათ მუშაობენ.

2) იჯარით გაცემის დროს, სხვა თანასწორ პირობებში, უნდა უპირატესობა მიეცეს კოოპერაციას.

შენიშვნა: უნდა გამოცხადდეს უსასტიკესი ბრძოლა აშკარა სპეკულიანტების იჯარაზე დაშვების წინააღმდეგ; 3) საიჯარო ხელშეკრულებაში უნდა გათვალისწინებული იყოს რაოდენობა და რამდენი ნაწარმი უნდა დაამზადოს იჯარით გაცემულმა წარმოებებმა, 4) სახელმწიფო იჯარის გაცემის დროს არ ღებულობს არავითარი [illegible] იჯარით გაცემულ წარმოებათა ხელის შესაწყობათ, პირიქით მან უნდა სარგებლობის მაქსიმუმი მოითხოვოს საიჯარო ქირის სახით. სახელმწიფო არა კისრულობს არავითარ მოვალეობას მუშა-მოსამსახურეების სურსათით და ტანისამოსით მომარაგების საქმეში, 5) განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც შეკვეთას იძლევა სახელმწიფო დაწესებულება, სახელმწიფოს შეუძლიან იკისროს ნაწილობრივი მომარაგება წარმოებისა ნედლი მასალებით და სათბობით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ხელშეკრულება ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მიერ იქნება დამტკიცებული, 6) იჯარით გასაცემ წარმოებათა ქირის სიდიდე დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ რამდენი მასალა ეთმობა იჯარადარს, რამდენად ფასიანია გადაცემული ქონება და ხელშეკრულების სხვა პირობებზე, 7) ხელშეკრულებაში უნდა აუცილებლად ჩაიწეროს იჯარადარის ისეთ მდგომარეობაში მოიყვანოს წარმოების შენობა და მოწყობილობა, რომ შესაძლო იყოს წარმოების ნაყოფიერების მაქსიმუმის გამოყენება, 8) იჯარადარი მოვალეა იჯარის მთელი ვადის განმავლობაში აწარმოოს მიმდინარე რემონტი, ხოლო იჯარის გათავების შემდეგ მოვალეა სახელმწიფოს წარმოება სრულ რიგზე ჩააბაროს ყველა გაუმჯობესებით და გადაკეთებით.

9) წარმოების იჯარით გაცემის დროს უნდა შედგენილ იქნას დაწვრილებითი [illegible] მოძრავი და უძრავი ინვენტარისა, იჯარის გაცემის მომენტის აღნიშვნით; 10) ხელშეკრულებაში უნდა აღნიშნული იყოს ვადა, რომლის განმავლობაშიაც იჯარადარი მოვალეა აამოძრავოს წარმოება, ხოლო თუ ეს არ შესრულდა, ხელშეკრულება ითვლება დარღვეულათ და ამისგან წარმომდგარი ზარალი უნდა გადაიხადოს იჯარადარმა; 11) იმ მიზნით, რომ იჯარით გაცემის დროს შეცდომა [illegible], სასურველია შემოღებულ იქნას წინასწარი გამოცხადება და კონკურსის წესი; 12) ადგილობრივმა სახალხო მეურნეობის საბჭოებმა უნდა კონტროლი გაუწიონ იჯარით გაცემულ წარმოებებს მათ ექსპლოატაციის მხრივ, ([illegible] წარმოებები გაცემული იყოს უშუალოთ თითონ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მიერ) და ხელშეკრულების იჯარადართა მიერ სწორე შესრულებას ამ ნაირად, რომ კონტროლმა არ შეაჩეროს წარმოების ნორმალური მუშაობა.

შენიშვნა: ხელშეკრულების დადების დროს აუცილებლათ უნდა უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს უფლება დავთრების [illegible] შემოწმებისა (წარმოების ექსპლოატაციისთვის პროდუქტების წესიერათ მიცემის კონტროლი).

13) თუ ვინიცობაა აღმოჩნდა იჯარის დროს ისეთი მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება დადებულ ხელშეკრულებას ან გამოიწვევს წარმოების მოშლას ან მის წახდენას, ადგილობრივი სახალხო მეურნეობის საბჭოები ღებულობს ამის წინააღმდეგ შესაფერ ზომებს, აცნობებს ამის შესახებ იმ ორგანოს, რომელმაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას.

14) ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა თვალი ადევნონ, რომ მისმა მოსამსახურეებმა არ მიიღონ არავითარი მონაწილეობა იჯარით აღებულ წარმოებებში. ხოლო თუ ასეთი მოვლენა აღმოჩნდება, მათ პასუხისგება უნდა მოეთხოვოთ, როგორც თანამდებობაში ჩადენილ ბოროტმოქმედებისთვის.

15) ეს ინსტრუქცია შეეხება აგრეთვე (ნაწილობრივ) იმ ხელშეკრულებასაც, რომლებიც სახალხო მეურნეობის საბჭოებს დადებული აქვთ არა-გაეროვნებულ წარმოებების პატრონებთან.

16) სხვილ წარმოებათა (პირველ კატეგორიის) იჯარით გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ზედმიწევნით განხილვის შემდეგ, როდესაც სახელმწიფოს აბსოლიუტურად არ შეუძლია სათანადო წარმოების გაძღოლა და იჯარადარი შეძლებს ამ წარმოებათა გასაძლიერებლათ იზრუნოს დიდი თანხა.

სახ. მეურნეობის უმ. საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე გ. [illegible], საქმეთა მმართველის თ. ა. დ. [illegible].

ჩვენი ფოსტა

ძველ მუშ. მიმართეთ სათანადო წინადადებით ქალაქის რევკომის კომუნალურ განყოფილებას ან სახ. სამეურნეო საბჭოს.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ზე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევს 2 საათამდის.

[illegible]